

კვლევის ანგარიში RESEARCH REPORTS

რუსუდან გერსამია, ირინა ლობჯანიძე,
თამუნა სხულუხია, ნინო წულაია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
rgersamia@iliauni.edu.ge

მეგრული ენის დოკუმენტირება: სამეგრელოში ლინგვისტური ექსპედიციების ანგარიში (2022-2023)*

მეგრული ქართველურ ენათაგან ერთ-ერთია, რომელიც მიღებულია წინარე ქართველური ენის ისტორიული დიფერენცირების შედეგად. მეგრელები კომპაქტურად სახლობენ საქართველოს დასავლეთ ნაწილში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების ქალაქებსა და სოფლებში. მეგრული, სვანურ და ლაზურ ენებთან ერთად, იუნესკოს მიერ აღიარებულია საფრთხეში მყოფ ენად (Moseley and Nicolas 2021), რაც ყველაზე მეტად ვლინდება ენისა და კულტურის / ტრადიციების ტრანსმისიის პრობლემებში, რასაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სოციუმის ცვალებადი დამოკიდებულება ენისა და კულტურის / ტრადიციების მიმართ. ენის ფლობის ხარისხის დასადგენად მნიშვნელოვანია მეტყველების აღწერა მისი განვითარების სინქრონიულ დონეზე, რისთვისაც გამოიყენება ენისა და კულტურის დოკუმენტირება სავსე პირობებში, რაც ნიშნავს ენობრივი მასალის ამსახველი კოლექციის შექმნას და ლინგვისტური მონაცემების, მათ შორის, ტექსტების, სიტყვების სიების, აუდიო და ვიდეო ჩანაწერების დამუშავება-არქივირებას ბუნებრივი ენების დამუშავების შესაბამისი პროგრამების (FLEx, Elan) გამოყენებით.

FLEx (FieldWorks Language Explorer) არის პროგრამა, რომელიც გამოიყენება ენობრივი და სოციოკულტურული მონაცემების მართვისთვის, ლექსიკური და ტექსტური მასალის დამუშავებისთვის. პროგრამა, ძირითადად, განკუთვნილია სავსე ენათმეცნიერებისთვის და გამოიყენება მონაცემების ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, სოციოლინგვისტური და ანთროპოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად.

* სტატია იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო პროექტის ფარგლებში. პროექტის სათაურია: „მეგრული ენის ანოტირებული კორპუსი ფორმალური გრამატიკითა და ელექტრონული ლექსიკონით“ (საგრანტო ხელშეკრულება FR-21-993; 21/03/2021).

ენობრივი მასალა იქმნება საველე პირობებში მეგრულ ენაზე მოსაუბრეთა შორის და სათანადო დამუშავების შემდგომ ინტეგრირდება FLEx-ში. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 2022 და 2023 წლების ზაფხულში სამეგრელოში მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციები, რომელთა ფარგლებშიც შეიქმნა პროგრამისათვის ლინგვისტურად ვალიდური, უანრულად და თემატურად მრავალფეროვანი მეგრულენოვანი მასალა (ნარატივები, ინტერვიუები); წინასწარ შემუშავებული კითხვარების მიხედვით, აღიწერა სამეგრელოში არსებული თანამედროვე სოციოლინგვისტური სიტუაცია. საველე ენობრივი სამუშაოები განხორციელდა შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში: „მეგრული ენის ანოტირებული კორპუსი ფორმალური გრამატიკითა და ელექტრონული ლექსიკონით“, რომელიც ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ბაზაზე.

დღემდე ჩაწერილია 54 სთ 12 წთ 41 წმ ზეპირი მასალა. აუდიო და ვიდეო ფაილები ამ ეტაპისათვის მოიცავს სენაკურ-მარტილურსა (SM) და ზუგდიდურ-სამურზაყანოული (ZS) დიალექტის ზუგდიდური კილოკავის ჩანაწერს. ZS – 31:42:26, SM – 22:30:15. სულ ჩაწერილია 81 რესპონდენტი, ქალი – 44, კაცი – 37. სამურზაყანოული კილოკავის ჩაწერა იგეგმება 2024 წელს და ითვალისწინებს 10-15 სთ-ის ჩანაწერის შექმნას.

ყველა ჩანაწერი ავთენტურია და ზუსტად ასახავს ბუნებრივ მეტყველებას; ტექსტები გაშიფვრისას არ სწორდება რომელიმე დიალექტისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური ნიშნების მიხედვით და მისდევს რესპონდენტის თხრობას.

ექსპედიციის პროცესი და საველე მასალის მოპოვება განხორციელდა საველე ენათმეცნიერებაში არსებული თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დაცვით (იხ. Bower 2008; Gippert, Himmelman and Mosel 2006). წინასწარ დეტალურად იყო კონცეპტუალიზებული ექსპედიციები, რაც გულისხმობდა კონკრეტული არეალებისა და ლოკაციების, მარშრუტებისა და დროითი გეგმა-გრაფიკების შემუშავებას სავარაუდო რესპონდენტებთან შეთანხმებაზე დაყრდნობით; განსაზღვრული იყო რისკ-ფაქტორებიც და ეს ყოველივე ემსახურებოდა ყოველდღიური სამუშაოების პროტოკოლირებას დროის ეფექტურად გამოყენების მიზნით.


რესპონდენტთა შერჩევა დაეყრდნო ნებისმიერობის პრინციპს, თუმცა ჩაწერის პროცესში დაცულია ასაკობრივი ზღვარი, გენდერული სხვაობა, თემატური და უანრული მრავალფეროვნება, რაც ემსახურება დაბალანსებული არქივის / კორპუსის შექმნას.

ასაკი	15-30	31-45	46-60	61-75	75-	ჯამი
ქალი	3	1	2	8	6	20
კაცი	1	3	2	2	1	9
ჯამი	4	4	4	10	7	29

ცხრილი 1. 2022 წლის ექსპედიციის მონაცემი

ასაკი	15-30	31-45	46-60	61-75	75-	ჯამი
ქალი		5	5	7	7	24
კაცი	1	3	9	11	4	28
ჯამი	1	8	14	18	11	52

ცხრილი 2. 2023 წლის ექსპედიციის მონაცემები



ცხრილი 3. დაჯამებულ მონაცემთა დიაგრამა

საველე პირობებში ვიდეომასალა მომზადდა .mp4, ხოლო აუდიო ფაილები .wav ფორმატში ჩამწერი მოწყობილობის შემდეგი პარამეტრების საფუძველზე: 48 კჰც, 16 ბიტი, სტერეო.

საველე სამუშაოს დროს გამოყენებული იყო ტექსტის ჩაწერის ორი მეთოდი: ობსერვირება – სიტუაციებსა და მოვლენებზე დაკვირვება ბუნებრივ პირობებში, შრომითი საქმიანობის პარალელურად ჩაწერა, და ელიციტირება – მიზნობრივი გამოკითხვის მეთოდი, რომელიც ამ შემთხვევაში მიმართული იყო სოციოლინგვისტური მასალის მოპოვებისკენ.

ნარატიული ტექსტური მასალა თემატურად მრავალფეროვანია და მოიცავს აუდიო/ვიდეო მასალას, რომელიც აღწერს:

1. მეგრულთა ყოფა-ცხოვრებას ძველ დროში და ახლა; ძირითად სამეურნეო-დარგობრივ საქმიანობას; ტრადიციულ მეგრულ სამზარეულოს; სხვადასხვა ტიპის, დანიშნულების ნაგებობათა არქიტექტურის აღწერას.

2. მეგრელთა რწმენა-წარმოდგენებს, მითოლოგიურ სამყაროს და მათთან დაკავშირებულ საკრალურ დამოკიდებულებებს, რიტუალურ ქცევას, წესებს, ატრიბუტებს;
3. სათავგადასავლო ამბებს, ზღაპრებს, შელოცვებს;
4. გეოგრაფიული ადგილების ტოპოლოგიურ დახასიათებას, ტოპონიმთა ხალხურ ეტიმოლოგიებს.

სოციოლინგვისტური კითხვარი, რომლის მიზანია სამეგრელოში თანამედროვე სოციოლინგვისტური სიტუაციის აღწერა, შემუშავდა გუდრიხ დილმანის კონცეფციაზე დაყრდნობით (Dillman 1978, 80), რომელიც განასხვავებს კითხვის შინაარსის ხუთ ტიპს: *ქცევა, რწმენა, ცოდნა, დამოკიდებულებები და ატრიბუტები*.

1. **ქცევა:** ენობრივ-კულტურული ვითარება (მაგ. ნათესაობის ფორმები, რიტუალები, მისაღმება/გამომშვიდობება და ა.შ.);
2. **შეხედულებები:** მეგრელთა აზრი მათი ენობრივი სამყაროსა და სხვა ენების ზეგავლენის შესახებ;
3. **ცოდნა:** ენის ათვისება, რომელიც უკავშირდება თაობათა შორის ცოდნის გადაცემას მოზრდილებსა და ბავშვებს შორის;
4. **დამოკიდებულებები:** მეგრელთა დამოკიდებულება საკუთარი ენისა და მისი ენობრივი მახასიათებლებისადმი;
5. **ატრიბუტები:** ინფორმაცია ინფორმატორების შესახებ (მაგ. სქესი, ასაკი და ა.შ.).

ფონეტიკური დამუშავება-გაშიფვრის შემდეგ ველზე მოპოვებული მასალის გადატანა ხდება FLEx-ის პროგრამაში, რაც გულისხმობს ტექსტის სტრუქტურირებას, აბზაცებად და წინადადებებად სწორად დაყოფას, გამყოფ ნიშნად წერტილის გამოყენებას, რაც მეგრულის, როგორც ზეპირი ენის, ტექსტისათვის გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ის პაუზისთვის სხვა ნიშნებს იყენებს. დამუშავების შემდგომ ტექსტები ინტეგრირდება FLEx-ის პროგრამის ტექსტურ ბაზაში და ტექსტი აღიწერება ექსტრალინგვისტური ინფორმაციის გათვალისწინებით. შემდგომ ეტაპზე კი ჩაიწერება საერთაშორისო ფონეტიკური ანბანით (IPA), ინგლისურ ენაზე ითარგმნება და მუშავდება ლექსიკურად და გრამატიკულად. კონვერტირებისათვის გამოიყენება სპეციალურად ამ პროექტისათვის შექმნილი ტექსტური კონვერტორი (გერსამია და ლობჯანიძე 2022).

2022 წელს მარტვილის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს სოფლებში ჩაწერილი ტექსტებიდან FLEx-ში შეტანილია და ყველა პარამეტრის მიხედვით დამუშავებულია 102 გვერდიანი მასალა, საათობრივი მოცულობით – 6 სთ 23 წთ, რაც შეადგენს 3 481 წინადადებასა და 26 972 სიტყვაფორმას.

ლინგვისტურ მონაცემთა დამუშავების ამ ეტაპის მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებელია ზოგიერთი დასკვნის გაკეთება მეგრული ენის იმ სტრუქტურული და ლექსიკური ცვლილებების შესახებ, რომლებსაც ნათლად აჩვენებს თანამედროვე მეგრული მეტყველების ამსახველი საველე მასალა.

მეგრული ენის დიალექტები არ ისწრაფვიან უნიფიკაციისაკენ და ინარჩუნებენ სხვაობებს ფონეტიკურ და მორფონოლოგიურ დონეზე.

ფონეტიკა-ფონოლოგია

1. **ხმოვანთა გემინაცია.** ხმოვანთა ე.წ. სიგრძის /გემინაციას აპირობებს: ა) უფრო ხშირად მორფემათა საზღვარზე ხმოვანი ინვენტარის შემცველი მორფემების შეხვედრა და ასეთ შემთხვევაში თითოეული ხმოვანი ფუნქციური ღირებულების მქონე სეგმენტის ფონემური ინვენტარია; ბ) სიტყვის ინლაუტში ან აუსლაუტურ ნაწილში ხმოვნის ფონეტიკურად დაგრძელება, რომელსაც უფრო პროსოდიული ღირებულება აქვს. მიმდევრულად ორი ხმოვანი სენაკურ-მარტილურს ახასიათებს, იშვიათად – ზუგდიდურს, რადგან ამ უკანასკნელში გემინირებული მიმდევრობები ფონეტიკური გარდაქმნების შედეგად მონოფონემური ხდება ან საერთოდაც შეიძლება ნულში გადავიდეს ანუ ზედაპირულ სტრუქტურაში არ იყოს წარმოდგენილი.

2. **ხმოვანთა ნეიტრალიზაცია.** ნეიტრალური ხმოვანი, რომელიც მეგრულში /ი/ და /უ/ ხმოვნების დავიწროების შედეგია, კვლავ აქტიურად ვლინდება ზუგდიდის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ტექსტებში, იშვიათად მარტილის ტექსტებშიც (მაგვანს „ქვევრს“, *მიამიძღეს* „შიგნთ გვედო“, *გემდგდეს* „გვედგა“, *ართიანქკმა* „ერთმანეთთან“, *შარვარს* „შარვალს“, *ქმაძღუო* „ეცვა...“) ჩნდება.

ნეიტრალური ხმოვანი თანამედროვე მეგრულში ფუნქციონირების არეალს იფართოებს, იგი აქტიურად ჩნდება სონორების შემდეგ, ასევე თანხმოვანფუძიანი სახელების სახელობითის /-ი/ ნიშნის მონაცვლედ: ბაბ-ზ „ბაბუა“, ბებ-ზ „ბებია“, წეს-ზ „წესი“, მუთუნ-ზ „არაფერი“, დენაბად-ზ „დანაბადი“, გიშაჭელ-ზ „გამოკერილი“, ბრელ-ზ „ბევრი“, გურ-ზ „გული“, თხითხ-ზ „თხელი“, ოსურ-ზ „ცოლი“, ოჭნახ-ზ „საწნახელი“, ჟანგბად-ზ „ჟანგბადი“, ჟირ-ზ „ორი“, რაგად-ზ „ლაპარაკი“, რკიაფ-ზ „კვილი“, სკან-ზ „შენი“, სკვამ-ზ „ლამაზი“ და ა.შ.

3. **ხმოვანთა მოკვეცა / „კვეცილი სტილი“:** სიტყვის აუსლაუტში სრულხმოვნობა სენაკურ-მარტილურს ახასიათებს, ხმოვანთა შეკვეცით მიღებული „კვეცილი სტილი“ (ტ. გუდავა) ყველაზე შესამჩნევია წალენჯიხისა და ზუგდიდის ტექსტებში, ჩხოროწყუს ტექსტებში კი ორივენაირად გვხვდება, რესპონდენტთა ნაწილი ორივე სტილის წა-

რმოთქმას ურევს, ნაწილი კი მხოლოდ კვეცილი სტილით საუბრობს.

სამივე ფონეტიკური ნიშანი – *ხმოვანთა ნეიტრალიზაცია*, *ხმოვანთა გემინაცია* და *ხმოვანთა მოკვეცა* – ზეგავლენას ახდენს მეგრული სიტყვის შემადგენელ მარცვალთა რაოდენობაზე, ანუ დამარცვლის პრინციპსა და მახვილის ადგილზე სიტყვასა თუ ფრაზაში.

4. **მახვილი.** მახვილის დასმის წესები მეგრული სათავის ტოგო გუდავამ (გუდავა 1969) შეიმუშავა. იყო აღნიშნული წესის რეანალიზის ცდაც (იხ. შენგელია, ფონიავა და მემიშიში 2020), თუმცა, დოკუმენტირებული აუდიო მასალა აჩვენებს, რომ მეგრულში სიტყვათმახვილისა და ფრაზული მახვილის ადგილის დასადგენად საჭიროა მეგრული ტექსტების კორპუსულ ბაზა[ებ]ში მახვილის ადგილის მარკირება და მახვილის დასმის წესების ანალიზი უფრო დიდ მონაცემებზე დაყრდნობით.

ჩაწერილი ტექსტების მოსმენაზე დაყრდნობით კი დასტურდება, რომ მახვილით განსხვავებულ ზმნურ ფორმობრივ ომონიმას აპირობებს სიტყვის აუსლაუტის მდგომარეობა, თუ როგორ არის ის წარმოდგენილი – სრული თუ კვეცილი სტილით. აღნიშნული ნიშანი კი მეგრული ენის დიალექტთა მადიფერენცირებელი ნიშანია, რაც თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ომოფორმები სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობისაა.

მაგალითისათვის შდრ.:

(Z) AOR: [გო]სკირ „გაშრა“ – FUT: [გო]სკირუ „გაშრება“

(SM) AOR: [გო]სკირუ „გაშრა“ – FUT: [გო]სკირუუ „გაშრება“

(Z) AOR: [გო]კურცხ „გაიღვიძა“ – FUT: [გო]კურცხუ „გაიღვიძებს“

(SM) AOR: [გო]კურცხუ „გაიღვიძა“ – FUT: [გო]კურცხუუ „გაიღვიძებს“

ომონიმია არ წარმოიქმნება ერთი დიალექტის დონეზე, მაგრამ ერთი ენის შიგნით მას სწორედ განსხვავებული დიალექტების მონაცემები ქმნის, იდენტური ფონემათმომდევრობა – მორფოლოგიური ფორმა, რომელსაც მახვილი სხვადასხვა მარცვალზე მოუდის და ერთმანეთს გრამატიკული ფუნქციით უპირისპირდება.

5. **იოტიზაცია, პალატალიზაცია.** მეგრული ენის ორივე დიალექტში იოტა პოზიციურად გამოვლენილი ბგერაა. პოზიციები რიგ შემთხვევაში ემთხვევა, ნაწილში კი დიალექტების მიხედვით განსხვავდება:

ა) ლ > ი კვლავ თვალსაჩინოა მარტივლური კილოს ბანძურ თქმაში სიტყვის ყველა პოზიციაში (ქაჯაია 1956): *დესხუძუხე* (< *ლე-სხულუხე*), *დე* (< *ლე < რე*) „არის“, *აფენდი* (< *ლაფენდი < ლაჟაფენდი*) „თამაშობდი“, *ახაი* (< *ახალი*) „ახალი“.

საგულისხმოა, რომ /ლ/ ფონემა ხშირად შენარჩუნებულია სხვა ენათა გავლენით დამკვიდრებულ ფუძეში, თუნდაც მაშინ, როცა ის ჩასმულია მეგრულ მორფომოდელში: *დეტალურო* „დეტალურად“, *ბოთლის* „ბოთლს“, *კულტურამ* „კულტურის“, *წელიწადიმ* „წელიწადის“, *სურვილი* „სურვილი“, *გავრცელებულქ* „გავრცელებულმა“, *განმავლობას* „განმავლობაში“, *ხალხის* „ხალხს“, *ამავდროულლო* „ამავდროულად“ და სხვ.;

ბ) შ > ე პროცესი, როცა -შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია, ორივე დიალექტის ტექსტებში დასტურდება. მარტვილის ტექსტებში: *თუთაად ბოფოშოთ* (< თუთამ ბოლოშოთ) „თვის ბოლომდე“, *კატუე ბირცხად თოს* (< კატუმ ბირცხამ თოლს) „კატის ფრჩხილის თვალს“, *დიხაად ფუნქცია* (< დიხამ ფუნქცია) „მიწის ფუნქცია“ და სხვ. ზუგდიდურში: *ბილბაშიე შქას* (< ბილბაშიე შქას) „თამადის შუაში“, *თინეფიე მუდეშ* (< თინეფიე მუდეშ) „მათი სახლის“, *თხად სკუა* (< თხამ სკუა) „თხის შვილი“ და სხვ.;

გ) ი > ე ცვლილება როგორც ძირეულ, ისე აფიქსური მორფემების ფონემურ ინვენტარში, მარტვილურისთვის დამახასიათებელი ნიშანია: *ქეშოხვამიდეუს* < *ქეშოხვამილუეს* < *ქეშოხვამილუეს* „შეახვედრეს“, *გითოძიქედკო* < *გითოგიჩქედუკო* „გამოგჩენოდა“, *გეგაძუნუდ* < *გეგოძუნუდ* „არ დაყვებოდა / არ მიჰყვებოდა“ და სხვ.;

დ) გი > ე: მეორე ობიექტური პირის ნიშანი /გ-/ პალატალიზებულია, როცა მას /ი/ ხმოვანი მოსდევს, რომელიც ქცევის ნიშანია; ის ფუნქციურად შეიძლება იყოს ხმოვანპრეფიქსული თავსართი ან ზმნისწინის შემადგენელი ფონემური ინვენტარი: *გე-ე-შაგორი* > *გე-გი-შაგორი* „გამოარჩიე“, *ვა-ე-ლამდეს* < *ვა-გი-ლამდეს* „არ აპირებდით“, *გეგნო-ე-ღონანქია* < *გეგნო-გი-ღონანქია* „გადაგიყვანო“ და სხვ., აღნიშნული პროცესი ხშირია წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ტექსტებში;

ე) ტექსტებში გამოვლინდა პალატალიზებული /მო/, /მე/ ხმოვნები, რომლებშიც არ იგულისხმება ფუნქციურად დატვირთული ორი ფონემა, რაც არც ისე იშვიათია მორფემათა საზღვარზე, როგორცაა მაგ.: *გ-ე-ე-ოთ-ი-კონ* < *გ-ე-გ-ი-ოთ-ი-კონ* „უნდა ამოგეძირკვა“, არამედ იქ, სადაც მათი გაჩენა მოსალოდნელი არ არის. მაგ. წალენჯიხის ტექსტებში: *გე-ე-ო-ბუნდუ* „ამოასხამდა“ და სხვ.; ჩხოროწყუს ტექსტებში: *გე-ე-ო-ციკინუ* „წამოყო“, *გი-ე-ო-ვიძანდეეს* „დააკლავდენ“, *ქიგ-ე-ე-ბღვი* „დავდევი“.. მარტვილი: *გი-ე-ო-ვიძანდეეს* „დააკლავდენ“, *თითო-ე-ე-ულ* „თითოეული“, *ჟა-ე-ე-ნჩღოვითი* „ორმოცდაათი“ და სხვ.

მორფონოლოგია და მორფოლოგია

1. მორფემათა საზღვარზე ფონეტიკური გარდაქმნის წესები (იხ. Кипшидзе 1914; გუდავა და გამყრელიძე 1981) დაცულია ზუგდიდურში, ხოლო მარტვილის ტექსტებში ამოსავალი მორფემები წარმოდგენილია სრული ფონეტიკური ინვენტარით. ჩხოროწყუს ტექსტებში კი ორივე არეალისათვის დამახასიათებელი ვითარება ვლინდება, რაც ინტერფერენციული ზონის დამახასიათებელი ნიშანია.

2. მიცემითი ბრუნვის ნიშნების განაწილების პრინციპები იგივეა. ასევე, ვლინდება არაკანონიკური კომპლექსების გარდაქმნის საკითხები მორფემათა საზღვარზე მოთხრობითა და მიცემითში. სახელის რიცხვის ალომორფების განაწილება დიალექტების მიხედვით არ შეცვლილა (იხ. კარტოზია და სხვ. 2010). მოთხრობითა და მიცემითში ანაპტიქსური -ი ხმოვნისანი სახელური პარადიგმა თანაბრად ვლინდება როგორც მარტვილურ, ასევე ზუგდიდურ ტექსტებშიც; საგულისხმოა, რომ /ი/ ხმოვნის ჩართვას უკვე განზოგადებული სახე აქვს და ჩართულია იქაც, სადაც ამის ფონოტაქტიკურად შეზღუდვა არ არის – სონორების შემდეგ: ბოთლის „ბოთლს“, ყამბარის „ყავარს“; ლ > ღ -ის შემდეგ: სტომის < სტოლის „მაგიდას“, მწვანილის < მწვანილის „მწვანილს“, ედის < ელის „იელს“, მოსავადის < მოსავალს „მოსავალს“ და სხვ.

3. ზმნურ მორფემათა სლოტებში პირის ნიშნის ადგილი არის ძირიდან მარცხნივ მეორე სლოტში. დადგენილი წესებია: ა) პირის ნიშანი ფუძის ანლაუტურ თანხმოვანთან შეხვედრის შემდეგ ზუგდიდურში გარდაიქმნება ჰომოგენურობის პრინციპის შესაბამისად და სუბიექტური პირის /ვ-/ მორფემა {ბ-, ფ-, პ-, მ-, Ø-} ალომორფებით რეალიზდება, ხოლო ობიექტური /მ-/ {ბ-, ფ-, პ-, ვ-, Ø-} ნიშნებით; ბ) პირის ნიშნის მეტათეზისი ზმნის ძირში მხოლოდ ზუგდიდურში ხდება (მაგ. ვ-მუშენქ > მუ-ბ-შენქ „ვმუშაობ“), რითაც ის განსხვავდება მარტვილურ-სენაკურისგან (იხ. კარტოზია და სხვ. 2010; ქირია და სხვ. 2015).

სამეგრელოში მოპოვებული ახალი საველე მასალა პირის ნიშნებთან დაკავშირებით აჩვენებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი წესები შეცვლილი არ არის და შენარჩუნებულია დიალექტთა განმასხვავებელ ერთ-ერთ თავისებურებად, თუმცა ახალი ტენდენციებიც ვლინდება, კერძოდ:

ა) მარტვილის ტექსტებში ვ- პირისნიშნის ვარიანტის პარალელურად თავს იჩენს ჰომოგენურად გარდაქმნილი პირისნიშნის ვარიანტები: ფ-ცხოვრენტ, „ვცხოვრობთ“, ფ-ხვადუთ „ვხვდებით“, გიე-ბ-რვდედით „დავროდით“, ქიმეე-ფ-თით „მივდივით“, ფ-ჩხომა-

ანქ „ვთევზაობ“; ქიმი-ბ-ლანთ „მოვიტანთ“; გე-ბ-ძუნა „გვადევს“; ქო-დო-ბ-დობოდუთ „დავსდებით“; ვა-ბ-გინაფაფუდენდითია „ვგებულობდით“ და სხვ. ალომორფი /ბ-/ მკვეთრების წინა პოზიციაში გვხვდება, მაგ.: ვა-ბ-ტემებუნდითია „არ ვტოვებდით“, ქომო-ბ-კიდი „მოვიკიდე“, ი-ბ-ტყობუდით „ვიმალებოდით“, ბ-ჭუნდით „ვწვავდით“ და სხვ.

ბ) წალენჯიხისა და ჩხოროწყუს ტექსტებში [-1] და [-2] მორფემათა სლოტები ხშირად იცვლება, ანუ პირის ნიშანი გადაისმევა ხმოვანი პრეფიქსის (ქცევის ნიშნის) შემდგომ: გეკ-ი-ბ-კვათ < *გეკო-ვ-ი-კვათი „ამოვიჭერი“; ვეთ-ი-ბ-ლანქ < *გეთო-ვ-ი-ლანქ „გამოვიტან“; დ-ი-ბ-ჭყანქ < *დო-ვ-ი-ჭყანქ „დავიწყებ“; დ-ი-ბ-გურე < *დო-ვ-ი-გურე „დავისწავლე“; დ-ი-ბ-ძახი < *დო-ვ-ი-ძახი „დავიძახე“; გ-ი-ბ-ჭყოლიდე < *გო-ვ-ი-ჭყოლიდე „დავივიწყე“..

ბ) ქართულიდან შემოსულ ზოგიერთ ფუძეში პირველი სუბიექტური პირის ორი ნიშანი ჩანს, ერთი ანლაუტში, მეორე კი ფუძეს ორ ნაწილად ხლეჩს (1) (2):

- (1) ვ-ა-ბ-ზროვნ-ენ-ქ „ვაზროვნებ“ შდრ. ძირი: აზროვნ-S1-R1-S1-R1-Th-S1sg
- (2) ვ-ა-ბ-რსებ-ენ-ქ „ვარსებობ“ შდრ. ძირი: არსებ-S1-R1-S1-R1-Th-S1sg

4. იმპერფექტივის აღმნიშვნელი თმV-/მV- ალომორფები, რომლებიც პირველი და მეოთხე სერიების მოდელელებში შედის და მოქმედების პროცესს აღნიშნავს (ქობალავა 2010), დამახასიათებელია მარტივული ტექსტებისათვის, თუმცა რამდენიმე შემთხვევა ზუგდიდური კილოკავის (resp. წალენჯიხისა და ჩხოროწყუს) ტექსტებშიც გამოვლინდა.

5. მარტივული რესპონდენტების ნაწილი ნამდა „რომ“ კავშირის მნიშვნელობით ნამდგა „რომელიც“ ფორმას იყენებს:

- (3) კირით დო ტუტათ ინახებუუ მაგვანიი დინახდე, **ნამდგა** ობიქ ვემეკიდაასენ.
- „კირით და ნაცრით ინახება ქვევრი, რომ ობი არ მოიკიდოს“;
- (4) **პათეშ უკუდ მოხვად თეშ, ნამდგა** ართმაჟია ქეშდოხვამიდეუეს.
- „ამის მერე მოხდა ისე, რომ ერთმანეთს შეგვახვედრეს.“

ცვლილებები სინტაქსურ კონსტრუქციაში

ახალგაზრდების მეტყველება განსხვავებულია ასაკოვანი რესპონდენტების მეტყველებისგან ლექსიკურადაც და სინტაქსურადაც.

მეგრულში სპეციფიკურია წინადადების ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, რომელიც ქართულს ხშირად არ ემთხვევა, ამიტომაც ასა-

კოვანი ადამიანების ქართულ საუბარში ხშირია ამ კონსტრუქციის პირდაპირ გადმოტანის მცდელობა, რაც მათ მეტყველებას ქართულისთვის არაბუნებრივს, თუმცა მეგრულისთვის სავსებით დასაშვებს ხდის. ახალგაზრდა, განსაკუთრებით 20-35 წლის რესპონდენტებში მეგრულისათვის ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციების ქართულის მიხედვით შეცვლა /გამარტივება შეინიშნება, ეს განსაკუთრებით უარყოფით ნაცვალსახელიან ვარენო „არ არის რომ“; ვარდუო „არ იყო რომ“ კონსტრუქციებს ეხება:

(5) ხოჯეფი სოდე ვარდუო კირდუნ თი ადგილს ოხოჯურს უძახდეს (რესპ. ოფელია ცქვიტაია, 75 წლის)

„ხარები სადაც არ იყო რომ ება, იმ ადგილს სახარეს ეძახდენ.“
შდრ.

ხოჯეფი კირდუნ თი ადგილს ოხოჯურს უძახდეს.

„ხარები რომ ება, იმ ადგილს სახარეს ეძახდენ.“

(6) ასე ასეიანი ვარენო შეუდარე ართიანსუნი, ვეშიდარინე.

(რესპ. ჯაირან. გოგუა. 81 წლის)

„ახლა ახლანდელი არ არის რომ შეუდარო ერთმენტს, ვერ შედარდება.“

შდრ.

ასე ასეიანი ქეშეუდარე ართიანსუნი, ვეშიდარინე.

„ახლა ახლანდელი რომ შეუდარო ერთმანეთს, ვერ შედარდება.“

2022 წლის მასალაში ვარდუო-ს გამოყენების 15, ხოლ ვარენო-ს გამოყენების 9 მაგალითი გვხვდება ასაკოვან რესპონდენტებში. ახალგაზრდებში მათი გამოყენების არცერთი მაგალითი არ დასტურდება. მაგალითი (7) კი იმის დასტურია, როგორ არის დესემანტიზირებული ან და „თუ“ კავშირის მნიშვნელობის აღქმა შესუსტებული, როცა პირობით დამოკიდებულ წინადადებაში ერთმანეთის გვერდით გამოყენებულია თუ კავშირის მეგრული და ქართული ვარიანტები:

(7) ანუ თუ დაგამთქნარენსუდა, თიწკია უეჭვეი მუნაჟამა რე.

„ანუ თუ დაგამთქნარებს [თუ], მაშინ უეჭველად მოჟამული არის“
(რესპ. გიორგი სხულუხია, 25 წლის)

ლექსიკური შედგენილობა. სესხება. ენათა გავლენა

ლექსიკური თვალსაზრისით თვალსაჩინოა რამდენიმე ტენდენცია:

1. კოდების გადართვა ზედა ასაკობრივი ზღვრის (75-დან ზევით) რესპონდენტებს არ ახასიათებთ. ქვედა ასაკობრივ ზღვარში L2 ქართულია და ჩნდება წინადადების ან ცალკეული სიტყვების დონეზე.

განმაპირობებელი ფაქტორი სხვადასხვა ჩანს. ქართული სალიტერატურო ენის, როგორც განათლების ენის, გავლენა მეგრულზე ცალკეული ლექსემების დონეზეც აისახება, რაც თვალშისაცემია დაახლოებით 60-65 წლამდე რესპონდენტებში;

2. ნასესხობების თვალსაზრისით ენაში კვლავ გამოიყენება რუსიზმები, რომლებიც ადრინდელი შემოსული და დამკვიდრებულია, შეთვისებულია მეგრულის ლექსიკურ სისტემასთან (*პროლი, სტოლი, შკაფი, გარდერობი, პლატოკი, პატალოკი, ფეჩქი, დურაქი, დვარეცი, ზაბორი, კრასკა, ბიდონი, ბოჭკა, სტოიკა, სტოლბა, ტოკი, ხადავოი, დრუჟბა, ნასოსი, პისტოლეტი, ბენზინი, სალიარკა, გაზი, სეტკა, კასრული, ვილკა, ჩუგუნი, პადელნიკი და სხვ.*). ახალგაზრდების მეტყველებაში იკვეთება ზოგი სიტყვის ქართულით ან მეგრული სიტყვებით ჩანაცვლების მცდელობა, მაგ.: ზაბორი / ლობერი, ტოკი / დენი, დვარეცი / სასახლე, დურაქი / სულელი და სხვ.

საერთაშორისო სიტყვებთან ერთად (*ტელევიზორი, ტელეფონი, აეროპორტი, აეროპლანი, კომპიუტერი და სხვ.*), ახალგაზრდების მეტყველებაში აქტიურ მიმოქცევაშია ტექნოლოგიებთან და სოცქსელებთან დაკავშირებული ლექსიკა: *ინსტაგრამი, ფეისბუქი, ტიკტოკი, გუგლი, მესინჯერი, ვოცაპი, სკაიპი და ა.შ.*

3. მორფოლოგიური ნასესხობები არ ჩანს, თუ არ ჩავთვლით ორიოდ მაგალითს, როცა ობიექტის მრავლობითობა, რომლის გამოსახატავად მეგრულს დამოუკიდებელი მარკერი არ გააჩნია, აღინიშნება ქართული /გვ-/ პრეფიქსით: *გვ-იწეენს „გვიწევს“; გვ-იყვენა „გვიყვებიან“; გვ-ამართლენა „გვამართლებენ“.*

L2-ის გავლენით დამკვიდრებული ფორმობრივი მოდელირება ორი ძირითადი გზით ხორციელდება: ა) სახელის ან ზმნის ძირი / ფუძე ქართულია და მეგრულ მორფოლოგიურ ყალიბშია ჩასმული; ბ) ფორმა ქართულ და მეგრულ მორფემებს (ძირეულს, აფიქსურს) შერეულად შეიცავს. ასეთ შემთხვევაში ქართული მორფემების მნიშვნელობები დესემანტიზირებულია.

FLEx-ის პროგრამაში ინტეგრირებისათვის მზად არის 2023 წლის საველე ექსპედიციის დროს ჩაწერილი მასალის 8 საათი, რომელიც მოიცავს სენაკის, აბაშის, ხობის, ფოთის, ზუგდიდის და ჩხოროწყუს ტექსტებს. აღნიშნული მასალის ანალიზის შემდეგ (რასაც ასევე დავემატება სამურზაყანოულის ტექსტების ანალიზი) გვექნება სრული სურათი თანამედროვე პერიოდისათვის მეგრულის ენობრივი (ლექსიკურ-გრამატიკული) მდგომარეობისა და მისი დიალექტების განმასხვავებელი ნიშნების შესახებ. ასაკობრივად განსხვავებულ რესპონდენტთა მეტყველების ერთმანეთთან შედარება კი საშუალებას მოგვცემს, დავადგინოთ ენობრივი ცვლილებების თვისობრიობა და რაოდენობა, რამაც უნდა განსაზღვროს ენის საფრთხეში ყოფნის ხარისხი.

დამოწმებანი

- გერსამია, რუსუდან და ირინა ლობჯანიძე. 2022. *მეგრულის კონვერტორი* <https://irinalobzhanidze.com/megrelian/converter/converter.html> . ბოლო წვდომა 2022 წლის 15 ივნისი.
- გუდავა, ტოგო. 1969. მახვილის ადგილისათვის მეგრულში. კრებულში: *გიორგი ახვლედიანი – 80, საიუბილეო კრებული*, რედ. შოთა ძიციგური, 106-111, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- გუდავა, ტოგო და თამაზ გამყრელიძე. 1981. თანხმევანთკომპლექსები მეგრულში. კრებულში: *აკაკი შანიძეს*, რედ. შოთა ძიციგური, 202-243. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კარტოზია, გურამ, რუსუდან გერსამია, მათა ლომია და თათა ცხადაია. 2010. *მეგრულის ლინგვისტური ანალიზი*. თბილისი: მერიდიანი.
- ქაჯაია, ოთარ. 1956. /ლ/ ფონემისათვის მეგრულის მარტვილურ-ბანძურ თქმაში. *ცხინვალის პედინსტიტუტის შრომები*, ტ. III.
- ქირია, ჭაბუკი, ლალი ეზუგბაია, ომარ მემიშიში და მერაბ ჩუხუა. 2015. *ლაზურ-მეგრულის გრამატიკა I. მორფოლოგია*, თბილისი: მერიდიანი.
- ქობალავა, იზაბელა. 2010. აწმყოს ფუძის ერთი თავისებურებისათვის მეგრულში. *ენათმეცნიერების საკითხები I-II*: 234-249.
- Кипшидзе, Иосиф. 1914. *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем*. С.-Петербург: Типография Императорской Академии Наук.
- შენგელია, ეთერ, ნათია ფონიავა და მათა მემიშიში. 2020. *მეგრულ-ლაზური ინტონაცია*, თბილისი: უნივერსალი.
- Bowern, Claire. 2008. *Linguistic Fieldwork: A Practical Guide*. Basingstoke, UK: Palgrave Macmillan.
- Dillman, Don A. 1978. *Mail and Telephone Surveys: The Total Design Method*. New York: Wiley.
- Gippert Jost, Nikolaus P. Himmelmann and Ulrike Mosel, eds. 2006. *Essentials of Language Documentations*. Berlin: Mouton de Gruyter.
- Moseley, Christopher and Alexandre Nicolas. 2021. UNESCO: World Atlas of Languages: Mingrelian. UNESCO. <https://en.wal.unesco.org/languages/mingrelian>.
- SIL Fieldworks Language Explorer (FLeX), Version 9.1. (2024, January 01). Retrieved from Fieldwork: Language Technology: <https://software.sil.org/fieldworks/>